ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1383650

ნომერი: AR1235711

თარიღი : 11.07.2014

გაცემის თარიღი : 16.07.2014

გაცნობის თარიღი : 16.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , ფიზიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ორგანიზაცია:

- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" კოდი: 404391136

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1235711 11.07.2014 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.14.03.042.071 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სტრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში;

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. ასევე ქ. თბილისის საკრებულოს ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში არსებული ის ცალკეული მიწის ნაკვეთები, შენობები და ნაგებობები, რომელთა ამ წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობა განპირობებულია გარემოებებით (მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია, ხაზოვანი ზომები, ნარგავების არსებობა და ა.შ.), იძენენ ,,იძულებით შეუსაბამო“– უძრავი ობიექტის იურიდიულ სტატუსს.

მითითებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს გზების გამყოფ ზოლს, საზოგადოებრივ გამწვანებულ ტერიტორიას, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით და ფუნქციური ზონის მიხედვით მომდევნო სამშენებლო განვითარებისთვის არის ,,იზულებით შეუსაბამო“ სტატუსის მქონე. შესაბამისად მისი სამშენებლო განვითარება გამოიწვევს შეუსაბამობის ხარისხის გაზდას, რაც კანონმდებლობით არ არის დაშვებული.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენს სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობის ფართობი არ გაიზრდება, მაშინ აღნიშნული ტერიტორიის და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის იერსახის მოწესრიგების და გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელი იქნება რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია არსებული გაბარიტების უცვლელად, რისთვისაც ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე http://tas.ge/ უნდა შეავსოთ განცხადება შესაბამის ნომენკლატურაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.